MED EL

დისტანციური გაკვეთილების კრებული 1

ტელეპრაქტიკაში გამოსაყენებლად

hearLIFE

გაეცანით MED-EL-ის დისტანციური გაკვეთილების კრებულს

1. რა არის MED-EL-ის დისტანციური გაკვეთილების კრებული?

MED-EL-ის გაკვეთილების კრებული შეიცავს აღწერილობით ინფორმაციას, გაკვეთილების გეგმას, მითითებებს, თერაპევტის ჩანაწერებს და რესურსებს. ზემოაღნიშნულს ნახავთ აქ: https://blog.medel.pro/. თერაპევტებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ეს უფასო რესურსები, რათა ჩაატარონ მოსმენისა და სალაპარაკო ენის უნარების განვითარებაზე ფოკუსირებული გაკვეთილები იმ ბავშვებისთვის, რომლებიც იყენებენ სმენის დამხმარე ტექნოლოგიებს. MED-EL-ის დისტანციური გაკვეთილების კრებული წარმოადგენს გაკვეთილების კრებულიდან რჩეულ აქტივობებს, რომლებიც მოიცავს საჭირო ინფორმაციას და მრავალდონიანი გაკვეთილების გეგმას, რომელსაც იყენებენ თერაპევტები ინტერნეტის საშუალებით გაკვეთილების ჩასატარებლად. დისტანციური გაკვეთილების კრებული გამოიყენება ტელეპრაქტიკის გზით მომსახურების მიწოდებისთვის სოფლად ან დისტანციურად მყოფ ოჯახებისთვის ან იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც უჭირთ კლინიკაში გაკვეთილებზე დასწრება.

2. რა სჭირდებათ ოჯახებს?

ოჯახებს უნდა შეეძლოთ თერაპევტთან დაკავშირება ელექტრონულ მოწყობილობაზე ინტერნეტის საშუალებით. სასურველია, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა ელექტრონულ ფოსტაზე და პრინტერზე, მაგრამ რესურსების ამობეჭდვა შესაძლებელია კლინიკაშიც, რომლებიც გამოქვეყნდება გაკვეთილის დაწყებამდე. ოჯახებს დასჭირდებათ მაკრატელი, წებოვანი ლენტი და სტეპლერი. იმის გასაგებად, თუ როგორ უნდა შესრულდეს თითოეული დავალება, მშობლებმა/აღმზრდელებმა გაკვეთილის წინ უნდა წაიკითხონ მოსამზადებელი ჩანაწერები.

3. ესაჭიროებათ თუ არა თერაპევტს და ოჯახს რესურსების ასლები?

დიახ. თერაპევტების ამოცანაა სწავლებითა და ქოუჩინგინგით გაუმჯობესოს მშობლების/აღმზრდელების უნარები, რათა მათ შეძლონ თავიანთი ბავშვების დახმარება სახლის პირობებში. თერაპევტებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ბავშვების ჩართულობა აქტივობებში კამერის საშუალებით, რათა დაანახონ მათ, რომ აქვთ ერთი და იგივე მასალები.

4. როგორ მუშაობს მრავალდონიანი გაკვეთილების გეგმა?

გაკვეთილების გეგმა მოიცავს რჩევებს სმენის, სალაპარაკო ენის, შემეცნების უნარისა და გონების თეორიის მიზნების შესახებ. სწავლების თითოეულ სფეროში განსაზღვრულია რამდენიმე მიზანი. ბავშვების ფუნქციონირების დონის დასადგენად თერაპევტები იყენებენ მიმდინარე სადიაგნოსტიკო შეფასებას და ირჩევენ მიზნებს ერთი საფეხურით წინ. უნარებისა და მიზნების უფრო დეტალური ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ MED-EL-ის ბავშვის განვლილი გზა.

5. რა ასაკისთვის და უნარის დონისთვის არის შესაფერისი დისტანციური გაკვეთილების კრებული?

თითოეული სფეროს მიზანი დაახლოებით უდრის ამოცანების სამ დონეს, რომელიც განსაზღვრულია MED-EL-ის გაკვეთილების კრებულში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ გვ. 6 - "შეიტყვეთ დონეების შესახებ". თერაპევტის ჩანაწერები კეთდება იმ ვარაუდით, რომ ბავშვს შეუძლია იჯდეს მშობელთან/აღმზრდელთან და ჩაერთოს ნახევრად სტრუქტურირებულ და თამაშზე დაფუძნებულ აქტივობებში. თუ ეს შეუძლებელია, მშობელს/აღმზრდელს შეუძლია გაიაროს ქოუჩინგი ბავშვის გარეშე, ხოლო შემდეგ ჩაატაროს აქტივობები ეკრანისგან მოშორებით. 10-12 წლამდე ასაკის ბავშვებიც კი ერთობიან ამ აქტივობებით. თერაპევტის ჩანაწერებში ასევე შედის შეთავაზებები სმენისა და მეტყველების დონის მოდიფიცირების შესახებ.

6. რომელი ძირითადი სტრატეგიებია ჩამოთვილილი გაკვეთილების გეგმაში?

ძირითადი სტრატეგიები ეხება იმ მეთოდს, რომელიც ეხმარება ბავშვებს დასახული მიზნების მისაღწევად. თერაპევტებს ეძლევათ საშუალება ახსნან და ჩამოაყალიბონ სტრატეგიები, რომლებსაც მშობლები/აღმზრდელები გამოიყენებენ დისტანციური გაკვეთილის დროს. შემდეგ თერაპევტები აწვდიან ოჯახს უკუკავშირს სტრატეგიის გამოყენებისა და გაუმჯობესების ნებისმიერი შეთავაზებაზე. შემდეგ გვერდებზე მოცემულია სტრატეგიების ჩამონათვალი და აღწერილობა. თითოეულ დისტანციურ გაკვეთილზე გამახვილდება ყურადღება შეზღუდული რაოდენობის სტრატეგიებზე, რაც მოახდენს მეტ ფოკუსირებას ოჯახზე. ოჯახების მიერ გადაღებული ბევრი სტრატეგიების ამსახველი ვიდეოების ნახვა შესაძლებელია ბმულზე "რეაბილიტაცია სახლის პირობებში" https://blog.medel.com/tips-and-tricks/.

7. რატომ არის თერაპევტის ჩანაწერებში ბევრჯერ ნახსენები "მშობლის/აღმზრდელის ქოუჩინგი"?

კვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვები უფრო სწრაფად პროგრესირებენ, როდესაც მათ მშობლებს/აღმზრდელებს აქვთ თერაპიის პროცესში ჩართულობის მაღალი დონე. მშობლების/აღმზრდელების ქოუჩინგით, თერაპევტებს აქვთ საშუალება გადასცენ ცოდნა, მისცენ სტრატეგიების მიმართულებები, უკუკავშირი სტრატეგიებისა და აქტივობების ეფექტურობაზე და საჭიროების შემთხვევაში მოდიფიკაციების შეთავაზება. ამგვარად მშობლები ან აღმზრდელები ხდებიან მეტად თავდაჯერებულები იმით, რომ მათ შეუძლიათ გამოიყენონ ეს სტრატეგიები ყოველდღიურ ცხოვრებაში.

8. როგორ გამოვიყენოთ?

პრეზენტაცია არის მარტივი ანიმაციური PowerPoint-ის ფაილები, რომლებიც დამზადებულია მოთხრობების ან სიმღერების წიგნებიდან ამოღებული სურათებისა და ტექსტის გამოყენებით. თითოეული დისტანციური კრებული შეიცავს ერთ ასეთ ფაილს. თერაპევტებს სურვილისამებრ შეუძლიათ გამოიყენონ ეკრანის გაზიარების ფუნქცია, რათა გააკონტროლონ შინაარსის მიწოდების სიჩქარე. თავის მხრივ, ოჯახებს შეუძლიათ გადმოიწეროთ პრეზენტაცია პლანშეტზე ან ტელეფონში. ანიმაციების ნახვა შესაძლებელია PowerPoint-ის (Windows-ის კომპიუტერებზე და Android-ის მოწყობილობებზე) ან keynote-ის გამოყენებით (Apple-ის მოწყობილობებზე). სხვა პროგრამების გამოყენებისას, აირჩიეთ ვერსია "ანიმაციების გარეშე". თერაპევტებს, რომლებიც მუშაობენ არაინგლისურ ენოვან ოჯახებთან, შეუძლიათ ამ რესურსის მორგება ფუნქციის არჩევით "რედაქტირება" და შემდეგ თარგმნონ ტექსტი.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

დისტანციური თერაპიის დაწყება (ტელეპრაქტიკა)

ძირითადი მოსამზადებელი სამუშაოები

1. გადახედეთ ტექნოლოგიებს, რომელსაც გამოიყენებთ თქვენ და თქვენი ოჯახი. ოჯახის ძირითადი მოთხოვნები:
   - კომპიუტერი (ან ტაბლეტი/ტელეფონი, თუ კომპიუტერი არ არის ხელმისაწვდომი)
   - ვებ კამერა + მიკროფონი (ჩამონტაჟებული ან ცალკე გამოყოფილი მიკროფონი)
   - მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი
     ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად, თერაპევტის ძირითადი მოთხოვნებია:
   - მიკროფონით დაკავშირებული ყურსასმენი
2. გადახედეთ ვიდეო კონფერენციების ინსტრუმენტებს და დაადგინეთ რომელია თქვენთვის სასურველი.
3. იპოვეთ ადამიანი, რომელიც დაგეხმარებათ ნებისმიერი ტექნიკური საკითხების მოგვარებაში.

დაგეგმილ დაწყებამდე ერთი კვირით ადრე

1. დარწმუნდით, რომ ოჯახს მოგვარებული აქვს ტექნიკური საკითხები და შერჩეული აქვს ვიდეო კონფერენციისთვის საჭირო ინსტრუმენტი.
2. მოამზადეთ თერაპიისთვის განკუთვნილი ოთახი.
   თერაპიის ოთახის ძირითადი მოთხოვნები:
   - ჩუმი იზოლირებული ოთახი
   - განათავსეთ მაგიდა და კამერა ისე, რომ თქვენი სახე კარგად იყოს განათებული
   - დაიყვანეთ მინიმუმამდე ვიზუალური ყურადღების გამფანტავი ფაქტორები უკანა ფონზე (სასურველია ერთ ფერში შეღებილი კედელი)
3. გადააგზავნეთ გაკვეთილების გეგმა და ნებისმიერი სხვა ამოსაბეჭდი რესურსი ელექტრონული ფოსტით (ან ოჯახის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში ამობეჭდეთ და გაგზავნეთ ფოსტით).
4. განახორციელეთ სატესტო ზარი, რათა დარწმუნდეთ, რომ ტექნიკა მზად არის და ოჯახს აქვს ყველა საჭირო რესურსი (გაკვეთილების გეგმაში ჩამოთვლილი როგორც საბეჭდი, ასევე სხვა რესურსები).
5. განსაზღვრეთ გაკვეთილისთვის შესაფერისი დრო.

ერთი დღით ადრე

1. დაუკავშირდით ოჯახს შეხვედრის დასადასტურებლად. დარწმუნდით, რომ მათ აქვთ მომზადებული გაკვეთილისთვის საჭირო ყველა მასალა და გაარკვიეთ აქვთ თუ არა რაიმე შეკითხვა. სასურველია, რომ მშობლებმა/აღმზრდელებმა გაკვეთილის წინ წაიკითხონ მოსამზადებელი ინსტრუქციები, რათა გაიგონ, თუ რა უნდა გააკეთონ თითოეულ აქტივობაში.
2. მოამზადეთ გაკვეთილისთვის საჭირო ყველა რესურსი. (როდესაც თერაპევტი და ოჯახი იყენებს იგივე ან მსგავს რესურსებს, ასეთ შემთხვევაში აქტივობები უფრო წარმატებით ტარდება.)
3. დაადასტურეთ, რომ თქვენი ტექნიკური დახმარების სპეციალისტი მზად არის.

გაკვეთილი

1. განახორციელეთ ზარი ოჯახთან.
2. გამოყავით მცირე დრო, რომ დაამყაროთ კავშირი და შეამოწმოთ, კარგია თუ არა აუდიო და ვიზუალური კავშირი.
3. ასწავლეთ და დაატრეინინგეთ ოჯახი გაკვეთილების გეგმაში არსებული აქტივობების განმავლობაში.
   დისტანციური თერაპიის ძირითადი პრინციპები:
   - ახსენით აქტივობის მიზანი
   - ჩამოაყალიბეთ სტრატეგიები და ახსენით, თუ როგორ და რატომ აკეთებთ ამა თუ იმ ქმედებებს (არ დაგავიწყდეთ კამერაში ყურება)
   - უთხარით ოჯახს რომ ახლა მათი ჯერია და ფრთხილად დააკვირდით, რათა შემდგომ ჩაუტაროთ შესაბამისი ქოუჩინგი
     - აღნიშნეთ რა გააკეთეს კარგად
     - ისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ რეაგირებდა ბავშვი
     - შესთავაზეთ გაუმჯობესება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
4. დაასრულეთ განხილვა და გააკეთეთ შემაჯამებელი დასკვნა.
5. დაამყარეთ უკუკავშირი ოჯახთან ნებისმიერ ტექნიკურ საკითხთან დაკავშირებით.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

მოსმენის უნარების განვითარების ძირითადი სტრატეგიები

ფხიზლად ყოფნის ყველა საათი ეთერში
ბავშვის სასმენი აპარატი(ები) ჩართულია და მუშაობს მისი გაღვიძების მომენტიდან დაძინებამდე. თითოეულ აპარატის ოპტიმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად ყოველდღიურად ხორციელდება ფუნქციონალური სმენითი უნარების შემოწმება (ლინგის ხმის ტესტი).

მომიახლოვდი
მოსაუბრე შეგნებულად უახლოვდება ბავშვის აუდიო პროცესორს, რათა დარწმუნდეს, რომ აუდიო სიგნალი სუფთაა. ოპტიმალური მანძილი დამწყები მსმენელისთვის არის 30-დან 50 სმ-მდე.

სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები
ემოციის გამომხატველი სიტყვები, როგორიცაა ნახე!, ვაუ!, უჰ-ოჰ! გამოიყენება ხაზგასმით, ბავშვის სმენითი ყურადღების მისაქცევად. ეს სიტყვები ასტიმულირებს ტვინის აუდიტორულ ცენტრებს და ამზადებენ შემდეგი სიტყვების მოსასმენად.

რომელია ძირითადი სტრატეგიები?

შემდეგ გვერდებზე აღწერილია სტრატეგიები, რომლებიც სასმენი აპარატის გამოყენების მეშვეობით ხელს უწყობენ ბავშვის მოსმენის, ხოლო შემდეგ კი სალაპარაკო ენის უნარების განვითარებას. თითოეულ გაკვეთილზე, თერაპევტებს და მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა შეიმუშაონ სხვადასხვა სტრატეგიები და ასწავლონ აღმზრდელებს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ესა თუ ის სტრატეგიები სახლის პირობებში, რათა დაეხმარონ ბავშვს მოსმენის და სალაპარაკო ენის ინტეგრირებაში ცხოვრების ყველა ასპექტში.

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე
არსებობს უამრავი ენობრივი მოდელი, რომლის საშუალებითაც ბავშვს შეუძლია ისწავლოს და საბოლოო ჯამში გაიმეოროს სიტყვები. მოსაუბრეები შეგნებულად საუბრობენ იმაზე, თუ რას აკეთებენ, ხედავენ, უსმენენ და რაზე ფიქრობენ (საკუთარ თავზე საუბრობენ), ასევე იმაზე, თუ რას უყურებს, აკეთებს, სავარაუდოდ უსვენს და რაზე ფიქრობს ბავშვი (პარალელური საუბარი).

ფიქრის იგივე ადგილი
მოსაუბრე შეგნებულად ცდილობს გაიგოს რაზე ფიქრობს ბავშვი და აკეთებს ისეთ კომენტარს, რომ ეს აზრები სიტყვებით გამოხატოს. მაგალითად, თუ ბავშვი გარეთ იყურება, მოსაუბრემ შეიძლება უთხრას: „მე მგონი შენ გინდა გარეთ თამაში. მაგრამ ... ოჰ, ძვირფასო! გარეთ წვიმს".

აკუსტიკური აქცენტირება
იმისათვის, რომ სალაპარაკო ენა მოსასმენად უფრო საინტერესო იყოს, მოსაუბრე იყენებს რამდენიმე მეთოდს. ეს მეთოდები მოიცავს ბავშვზე ორიენტირებული მეტყველების ან ენის მოჩლექით ლაპარაკის გამოყენებას, რომელსაც ახასიათებს ბევრნაირი ინტონაცია (წამღერებით ლაპარაკი), ოდნავ ნელი ტემპი, პაუზების განზრახ გამოყენება და მნიშვნელოვან სიტყვებზე აქცენტირება მათი ფრაზის ბოლოში გადატანით ან მათი სხვაგვარად წარმოთქმა.

ყურადღებით მოუსმინე
წარმოთქმული სიტყვების გაგონება ხდება მანამ, სანამ ბავშვი მიიღებს სხვა ინფორმაციას მხედველობის ან შეხების გზით, ამიტომ ტვინის აუდიტორული ცენტრების სტიმულირება ხდება ბგერებითა და ხმით. ეს სტრატეგია ეხმარება ბავშვს სალაპარაკო ენის აღქმასა და გაგებაში. მაგალითად, სათამაშოს ჩანთაში დამალვა და ბავშვთან მასზე საუბარი მის ჩვენებამდე.

სიგნალი-ხმაურის თანაფარდობა - მოსმენის გარემო
იმისათვის, რომ ფონური ხმაური უფრო რბილი იყოს ვიდრე მოსაუბრის ხმა, გარემოს ელემენტები განზრახ და შეგნებულად რეგულირდება. მაგალითად, ფანჯრები დახურულია სატრანსპორტო ხმაურის შესამცირებლად, ტელევიზორი და მუსიკა გამორთულია. მაშინ მოსაუბრის ხმა მოსმენის ოპტიმალურ პირობებში იქნება 15-25 დბ-ით უფრო ხმამაღალი, ვიდრე ფონური ხმაური.

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ
მოლაპარაკე იყენებს უამრავ ენობრივ მოდელს (ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე), შემდეგ კი იცდის, რათა წაახალისოს ბავშვი საუბარში მონაწილეობის მისაღებად. წახალისებაში იგულისხმება დუმილი, ბავშვისკენ დახრა, ღიმილი და თანხმობის ნიშნად თავის დაკვრა.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

მოსმენის უნარების განვითარების ძირითადი სტრატეგიები

მოაწყეთ საბოტაჟი

სპეციალურად შექმნილი ან გამოვლენილი პრობლემები ან რთული სიტუციები ეხმარება ბავშვს კომუნიკაციის განვითარებაში. ასეთი სიტუაციისას მოსალოდნელია, რომ ბავშვი შეეცდება ისაუბროს პრობლემის შესახებ ან დახმარებას მოითხოვს მის მოგვარებაში. მაგალითად, საყვარელი სათამაშო, რომელიც იმდენად მაღლა არის დადებული, რომ ბავშვი ვერ წვდება.

გავრცობა და განგრძობა

ბავშვის ნათქვამი ან უნდა მეორდებოდეს სწორი გრამატიკული მარკერების გამოყენებით (გავრცობა) ან უნდა ემატებოდეს ინფორმაციის სხვა ნაწილები (განგრძობა). მაგალითად, თუ ბავშვი ამბობს „ბავშვის აბაზანა“, გავრცობილი პასუხი იქნება: „დიახ, ეს არის ბავშვის აბაზანა“, ხოლო განგრძობითი პასუხი იქნება: "დიახ, მოდი ჩავსვათ ბავშვი აბაზანაში".

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი

მოსალოდნელია, რომ ბავშვი შეეცდება მოსაუბრის მიერ წარმოთქმული ბგერის, სიტყვის ან ფრაზის კოპირებას. ამ სტრატეგიის საშუალებით ბავშვებს შეუძლიათ ჯერ მოისმინონ სიტყვის სწორი წარმოება, ხოლო შემდეგ დაუყოვნებლივ შეადარონ მათი ჟღერადობა. მოლოდინი იმისა, რომ ბავშვი შეეცდება მოსაუბრის კოპირებას, განისაზღვრება მკაფიო მეტყველებითა და ლოდინით (დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ).

ჩემი ხმა მნიშვნელოვანია!

ბავშვის მიერ ბგერისა თუ სიტყვის წარმოთქმის ყოველი მცირე მცდელობაც კი, უნდა იყოს აღიარებული და დაფასებული. ეს აღიარება ეხმარება ბავშვებს გააცნობიერონ თავიანთი ხმის გამოყენების მნიშვნელოვნობა და უქმნით უფრო მეტი საუბრის მოტივაციას. დააკავშირეთ ეს სტრატეგია გავრცობასთან და განგრძობასთან სიტყვებისა და სიტყვათშეწყობის მკაფიოდ გამეორებით.

გამოიყენეთ ვარიანტები

პასუხის ვარიანტებიან შეკითხაში მოცემულია ენობრივი მოდელები, რომლებსაც ბავშვი იყენებს გადაწყვეტილების მისაღებად და შემდეგ აკოპირებს. მაგალითად, "გინდა ვაშლი ან ბანანი?" ან უფრო განვითარებული ბავშვისთვის: "გინდა დიდი წითელი ვაშლი ან პატარა მწვანე ვაშლი?"

სმენითი მეხსიერების შექმნა

ბავშვის უნარების განვითარების პროცესში, შეგნებულად ხდება ინფორმაციის გაზრდა იმ რაოდენობით, რამდენის მოსმენა და დამახსოვრებაც შეუძლია მას. წლების განმავლობაში მოსმენის გამოცდილების შედეგად, წინადადების ბოლოს დასმული ერთი გადამწყვეტი ინფორმაცია თანდათანობით იზრდება წინადადებაში ან წინადადებებში ჩადებულ ოთხ ან მეტ ინფორმაციამდე, სმენითი მეხსიერების პირველი დონის დავალების მაგალითია "იპოვე ძაღლი". სმენითი მეხსიერების მეოთხე დონის დავალების მაგალითია "დამალე მამიკოს გასაღები წიგნის ქვეშ".

სმენითი დასრულება

ნაცნობი სიმღერის, ფრაზის ან წინადადების გამოყენებით შესაძლებლობა გაქვთ დაანახოთ ბავშვებს, რომ მათ შეუძლიათ მისი ამოცნობა და მონაწილეობა. მოსაუბრე იწყებს სიმღერას, ფრაზას ან წინადადებას, ბოლოსკენ ჩერდება და ელოდება, რომ ბავშვმა თვითონ დაასრულოს სიტყვები. მაგალითად, თუ მოსაუბრე წაიმღერა: "იციმციმე, იციმციმე, პატარა ...."

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა

შეგნებულად ხდება ბავშვისთვის მუსიკასა და სიმღერის გაცნობა, განსაკუთრებით მარტივი საბავშვო სიმღერებისა და ლექსების სახით. სიმღერა აკუსტიკური აქცენტირების ბუნებრივი ფორმაა, რომელიც ასტიმულირებს ტვინის რამდენიმე უბანს. ბავშვთა სიმღერებში გამოყენებული გამეორებები ხელს უწყობს ახალი სიტყვებისა და წინადადების სტრუქტურის შესწავლას.

წიგნები, წიგნები, წიგნები

წიგნის ერთად წაკითხვა არის პროცესი, რომელიც ხელს უწყობს ზრდასრულისა და ბავშვის ურთიერთქმედებას კითხვის დროს, გამოიყენება ლექსიკონისა და წინადადებების სტრუქტურების გასაფართოებლად, ზოგადი ცოდნისთვის, სხვისი აზრების, გრძნობების და შეხედულებების გაგებისთვის და აგრეთვე წიგნიერების უნარების განვითარებისთვის. წიგნის ერთად კითხვის სტრატეგიის მაგალითია, როდესაც მოსაუბრე აკეთებს თითო გვერდზე ერთ ან ორ კომენტარს და შემდეგ ელოდება ბავშვის ჯერს. სასურველია წიგნების რეგულარული გაზიარება.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

შეიტყვეთ დონეების შესახებ

- აჩვენებს მოსმენის მიზნებს
- აჩვენებს სალაპარაკო ენის მიზნებს
- აჩვენებს შემეცნების უნარისა და გონების თეორიის მიზნებს

როგორ ავირჩიოთ დონე

პირველი დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ერთი ერთეულის მოსმენას, ათვისებასა და გაგებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია მარტივი მოკლე წინადადებებით. ასევე გამოიყენება აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები, რათა ბავშვმა ადვილად შეძლოს ახალი ინფორმაციის ათვისება.	ბავშვი იყენებს ცალკეულ სიტყვებს, აქვს 200-მდე სიტყვის მარაგი და შესაძლოა დაიწყოს ორსიტყვიანი კომბინაციის გამოყენება. ბავშვი იწყებს სხვადასხვა ხმოვნების და თანხმოვნების გამოყენებას.	შემეცნების უნარი ნიშნავს იმას, თუ როგორ ვსწავლობთ, ვიძენთ ცოდნას და ვიგებთ ჩვენი სამყაროს შესახებ. პრაგმატიკა არის ენის სოციალური გამოყენება და მეტწილად დაკავშირებულია ინტერაქტიულ კომუნიკაციასთან. მასში შედის გონების თეორია (ToM). გონების თეორია არის აზროვნების უნარი, რომელსაც ჩვენ დროთა განმავლობაში ვანვითარებთ ჩვენი და სხვა ადამიანების ქცევის ახსნისა და პროგნოზირების მიზნით. შემეცნებისა და გონების თეორიის უნარები განვითარებადია. ისინი ბავშვის ზრდასთან ერთად ვითარდებიან. გარდა ამისა, ბევრ შემეცნებით, გონების თეორიისა და ენის უნარებს შორის ურთიერთკავშირი კომპექსურია, რომელთაგანაც თითოეული მათგანი, ბავშვის სიცოცხლის პირველ წლებში, რაღაც დონეზე ხელს უწყობს ერთმანეთის განვითარებას. პირველ დონეზე მყოფ მოზრდილ ბავშვებს შესაძლებელია უკვე ჰქონდეთ მეტი შემეცნებითი და გონების თეორიის უნარები და საკუთარი თავის გამოხატვისთვის უფრო მეტად ესაჭიროებოდეთ სალაპარაკო ენის ცოდნა. და პირიქით, მესამე დონეზე მყოფი მცირეწლოვანი ბავშვები განვითარების კუთხით შესაძლებელია არ იყვნენ მზად გონების თეორიის ზოგიერთი მიზნის გააზრებისთვის.
მეორე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ორი ერთეულის მოსმენას, აღქმას, გაგებას და დამახსოვრებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია უფრო გრძელი წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში მოცემული ყველა ინფორმაცია.	ბავშვი წარმოთქვამს 2-3 სიტყვის კომბინაციას, აქვს 200-დან 2000-მდე სიტყვის მარაგი და იწყებს გრამატიკული მარკერების გამოყენებას. ბავშვი იყენებს ყველა ხმოვანსა და თანხმოვანს.	
მესამე დონე	ბავშვი უკვე გამოცდილი მსმენელია, სწავლობს ინფორმაციის სამი ერთეულის ათვისებას, გაგებასა და დამახსოვრებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია სხვადასხვა რთული წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში არსებული გრამატიკული ელემენტები.	ბავშვი წარმოთქვამს 4-5 სიტყვისგან შემდგარ წინადადებებს და შეკითხვებს, აქვს 2000-ზე მეტი სიტყვის მარაგი და იყენებს სხვადასხვა გრამატიკულ მარკერებს. ბავშვი ეუფლება გვიან განვითარებადი თანხმოვნების უნარებს.	

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

დისტანციური გაკვეთილების კრებული 1 გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ცხოველის დამთხვევა **რესურსები** • ცხოველები ა1 სპინერი • ცხოველები - ა1	• ახდენს იდენტიფიცირებას: · ცხოველის - სახელით + ხმით · ცხოველის - სახელით · ცხოველის - აღწერით • ესმის არა + ცხოველი	• იყენებს სიტყვებს ან ბგერებს, რომ ჩაერთოს მონაცვლეობით აქტივობაში	• ამთხვევს იდენტურ სურათებს • მონაწილეობს მონაცვლეობით მოქმედებაში
ცხოველების ნაწილების გამოცნობა **რესურსები** • ცხოველები - ა2	• ახდენს იდენტიფიცირებას: · ცხოველების სახელებით ან ხმით · ცხოველის სხეულის ნაწილებით • იგებს მარტივ მითითებებს კონტექსტში	• აკეთებს ცხოველების სახელების ან ხმების აღნიშვნას • იმეორებს ცხოველის ნაწილებს • ცხოველებზე და მათ ნაწილებზე სასაუბროდ იყენებს სიტყვების კომბინაციებს	• ახდენს მთელი სურათის ნაწილის იდენტიფიცირებას • ესმის, რომ სიტყვა "ვფიქრობ" ნიშნავს, რომ მოსაუბრე არ არის დარწმუნებული
რას ჭამს ცხოველი? **რესურსები** • ცხოველები - ა3	• ახდენს იდენტიფიცირებას: · ცხოველების სახელებს · კვების პროდუქტები · ზმნა: ჭამა • ესმის სიტყვა "ან"-ის მნიშვნელობა კონტექსტში	• აკეთებს ცხოველებისა და საკვების აღნიშვნას • პასუხობს ვარიანტებიან შეკითხაზე • აერთიანებს სიტყვებს, რათა ისაუბროს იმაზე, თუ რას ჭამენ ცხოველები.	• ესმის საგნებს შორის ურთიერთკავშირი
რა შეიძლება იმალებოდეს ჩემგან? **რესურსები** • ცხოველები - ა4	• ითვისებს მოთხრობას • ახდენს წინადადებიდან ინფორმაციის იდენტიფიცირებას მხოლოდ მოსმენის გზით	• გამოსაცნობად იყენებს სიტყვას ან ბგერას • თითოეული გვერდიდან იმეორებს რამდენიმე სიტყვას.	• ხვდება გაოცებას და იუმორს

განხილვის თემა: როგორ უმკლავდება ოჯახი ამოცანას: "ფხიზლად ყოფნის ყველა საათი ეთერში"?

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. ცხოველის დამთხვევა

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე.
ამოჭერით ნახატებიანი ფურცლები, სპინერი და ისარი.
გახვრიტეთ ისრისა და სპინერის ცენტრი.
ჩაარჭეთ საკინძი ჭიკარტი მათ გახვრეტილ ცენტრში.

რესურსები

- ცხოველები ა1 სპინერი
- ცხოველები - ა1
- მაკრატელი, საკინძი ჭიკარტი

ინსტრუქციები

თქვენ აპირებთ მონაცვლეობითი წესის მეხსიერების თამაშს.

1. თერაპევტმაც და ოჯახმაც უნდა დაალაგონ სურათებიანი ბარათები თავიანთ მაგიდებზე გამოსახულებით ქვემოთ; დააწყვეთ მწკრივებად.
2. თერაპევტი იწყებს ისრის დატრიალებას და იმ ცხოველის სახელის გამოცხადებას, რომელიც ორივე მხარემ უნდა მოძებნოთ. თუ ეს მარტივი ამოცანაა, ცხოველის დასახელების ნაცვლად აღწერეთ იგი. თუ ძნელია, დაურთეთ ცხოველის ხმა.
3. ინსტრუქციის გამეორებით და ლოდინით მშობელი/აღმზრდელი გადაამოწმებს რამდენად გაიგო ბავშვმა (მაგალითად, აჰ, ჩვენ
   უნდა ვიპოვოთ ღორი.)
4. თუ ბავშვს გასაგებად სჭირდება დამატებითი დახმარება, თერაპევტს შეუძლია მიიტანოს კამერასთან სპინერი, რომლის ისარიც მიუთითებს გამოსაცნობ ცხოველზე და თავიდან გაუმეორებს ინსტრუქციას.
5. მშობელი/აღმზრდელი ეხმარება ბავშვს ბარათების გადმოტრიალებაში მანამ, სანამ არ იპოვის ღორს. თერაპევტიც იგივეს აკეთებს. მიიტანეთ იგი კამერასთან ერთმანეთისთვის საჩვენელბად, შემდეგ გადადეთ ეს ბარათი გვერდზე გამოსახულებით ზემოთ და გადმოატრიალეთ სხვა ბარათები გამოსახულებით ქვემოთ.
6. შემდეგ მოდის ბავშვის ჯერი, რომ დაატრიალოს სპინერი და დაასახელოს ცხოველი, რომელიც ყველა მოთამაშემ უნდა მოძებნოს.
7. როდესაც ორი იდენტური ცხოველი ნაპოვნია, ისაუბრეთ იმაზე, თუ რითი ჰგვანან ისინი ერთმანეთს; ისინი წყვილდებიან და გადიან თამაშიდან. თუ ეს სურათი კვლავ გამოჩნდება სპინერზე, დაატრილეთ თავიდან.
8. გააგრძელეთ მონაცვლეობა, სანამ არ მოიძებნება ყველა ცხოველის წყვილი.

ძირითადი სტრატეგიები

შეამცირეთ ფონური ხმა: ამ გაკვეთილის დაწყებამდე გამოავლინეთ ხმაურის წყაროები როგორც თერაპევტის, ისე ოჯახის ოთახში და შეძლებისდაგვრად დაიყვანეთ იგი მინიმუმამდე.

მეტი ისაუბრეთ: რამდენჯერმე გამეორება დაეხმარება ბავშვს ამ აქტივობისას გაგებული მნიშვნელოვანი სიტყვების გაცნობიერებაში. ასწავლეთ მშობლებს/აღმზრდელებს მეტი ისაუბრონ სურათებზე, როდესაც დებენ მათ მაგიდაზე და როდესაც ატრიალებენ, როცა იმეორებენ ცხოველების სახელებს და ეძებენ შესატყვის ბარათს. ოჰ, ეს არ არის ცხენი... აჰ, შეხედე! ისინი ემთხვევა! ჩვენ ვიპოვნეთ ცხენი... ჩვენ მათი წყვილი გვაქვს.

ძირითადი სტრატეგიები

შეამცირეთ ფონური ხმა: აუდიტორული სიგნალების საუკეთესო ხარისხისთვის თერაპევტი იყენებს გარე მიკროფონიან ყურსასმენებს.

მეტი ისაუბრეთ: დაარიგეთ მშობლები/აღმზრდელები გაიმეორონ ის, რასაც თქვენგან ისმენენ, რათა ბავშვს ჰქონდეს მეორე შანსი, რომ მოისმინოს სალაპარაკო ენა საუკეთესო ჭღერადობით. როდესაც დგება ბავშვის მიერ სპინერის დატრიალების ჯერი, დაარიგეთ მშობლები დაელოდონ, სანამ ბავშვი თვითონ აღნიშნავს იმ ცხოველს, რომელზეც გაჩერდა ისარი და საჭიროების შემთხვევაში, მოახდინეთ ვოკალიზება. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი თვითნებურად არ აღნიშნავს ცხოველს, დაარიგეთ მშობელი გამოიყენოს სასაუბრო მოდელი "მეტი ისაუბრეთ" და მოიერიდოს ისეთ კითხვებს, როგორიცაა "რა არის ეს?" რადგან კითხვებით უფრო მეტად ცდით ბავშვს, ვიდრე ასწავლით. ოჰ, ისარი ცხენზე გაჩერდა ... ესეი გი ცხენი უნდა მოვძებნოთ. უთხარი (თერაპევტის სახელი) იპოვოს ცხენი.

ძირითადი სტრატეგია

მეტი ისაუბრეთ: ასწავლეთ მშობლებს/აღმზრდელებს, თუ როგორ უნდა უზრუნველყონ ენის მოდელები, რათა ახსნან რა ხდება და მათი აზრით რას ამჩნევს ბავშვი. კარგი, ახლა ჩვენი დატრიელების ჯერია. მზად ვართ, მოდი დავატრიალოთ... კარგი დატრიალება იყო. ახლა ჩვენ გვჭირდება ისეთივე ბარათი, როგორც ეს ცხვარი, მოდი უთხარი (თერაპევტის სახელი), რომ მანაც იპოვოთ ის. მე მგონი შენ გახსოვს, სად არის ცხვარი.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

1. ცხოველის დამთხვევა





© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

1. ცხოველის დამთხვევა



© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

აქტივობა

2. ცხოველის ნაწილების გამოცნობა

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე.
ამოჭერით ცხოველის ნაწილებიანი პანელები გვერდის ბოლოში.
მოათავსეთ დანარჩენი ცხოველების გვერდები მაგიდაზე.

რესურსები

- ცხოველები - ა2
- საბავშვო მაკრატელი

ინსტრუქციები

თქვენ აპირებთ მონაცვლეობითი წესის გამოცნობანას თამაშს.

1. მშობლები/აღმზრდელები ესაუბრებიან ბავშვს ცხოველის ნაწილებიანი ბარათების ამოჭრის პროცესში (თერაპევტიც პარალელურად ჭრის ცხოველების ნაწილებიან ბარათებს).
2. დაალაგეთ ცხოველის ნაწილები მაგიდაზე და განათავსეთ ცხოველების გვერდის ქვეშ.
3. თერაპევტი იწყებს თამაშს ცხოველის ერთი ნაწილის არჩევით და საუბრობს მასზე. მშობელი/აღმზრდელი იმეორებს თერაპევტის ნათქვამს და მოუწოდებს ბავშვს იპოვოს მსგავსი.
4. მიიტანეთ ცხოველის ნაწილის სურათი კამერასთან, რათა შეამოწმოთ მგავსება და შემდეგ დაადეთ იგი შესაბამის ცხოველს.
5. მონაცვლეობით აირჩიეთ და ისაუბრეთ ცხოველის ნაწილებზე.

ძირითადი სტრატეგია

მეტი ისაუბრეთ: შეიტანეთ ცვლილებები ამ აქტივობაში ბავშვის სმენის დონის შესაბამისად. თუ ბავშვი დამწყები მსმენელია, განათავსეთ ცხოველის ნაწილების სურათები გამოსახულებით ზემოთ და ჯერ აღწერეთ ეს ცხოველი, საჭიროების შემთხვევაში ხმით, ხოლო ამის შემდეგ მისი სხეულის ნაწილი. თუ ბავშვი გამოცდილი მსმენელია, დაიწყეთ ცხოველის ნაწილების გამოსახულებით ქვემოთ დალაგებული სურათებით. ასწავლეთ მშობლებს/აღმზრდელებს უფრო მეტი ისაუბრონ ამ აქტივობისას, იმეორონ თქვენს მიერ ნათქვამი სიტყვები, აკეთონ კომენტარები იმაზე, თუ რას უყურებს და მათი აზრით, რაზე ფიქრობს ბავშვი. მე გავიგე, რომ (თერაპევტის სახელი) ამბობს ძაღლის ცხვირზე. კარგი, მოდი გადავატრიალოთ ეს ბარათები და ვნახოთ, ვიპოვით თუ არა ძაღლის ცხვირს. მზადაა, მოდი იპოვე ძაღლის ცხვირი. ოჰ დაიცადე, ეს არ არის ძაღლის ცხვირი. ეს თაგვის ცხვირია; ჩვენ გვჭირდება ძაღლის ცხვირი.

ძირითადი სტრატეგია

მეტი ისაუბრეთ: როდესაც მოვა ბავშვის მიერ არჩევის და ლაპარაკის ჯერი, ასწავლეთ მშობლებს/აღმზრდელებს, თუ როგორ გამოიყენონ მოდელი "მეტი ისაუბრეთ", რათა უზრუნველყონ ბავშვის მიერ კოპირებისთვის საჭირო ენის მოდელის შესაბამისი დონე. თუ ბავშვი ახლა იწყებს ვოკალიზაციას, მშობელს/აღმზრდელს შეუძლია აღნიშნოს ცხოველი და დაურთოს ხმა, რომ ბავშვმა შეძლოს კოპირება. მე მგონი შენ ამოირჩიე კურდღლის სხეულის ნაწილი. ჰოპ, ჰოპ. უთხარი (თერაპევტის სახელი) იპოვოს კურდღელი; ჰოპ, ჰოპ. ეს კურდღლის თვალია... დიახ, თვალი. დაელოდეთ მიბაძვის მცდელობას. ან თუ ბავშვი უფრო განვითარებულია, წაახალისეთ მშობელი/აღმზრდელი, შეიმუშავოს სიტყვების კომბინაციები იმისათვის, რომ ბავშვმა შეძლოს მიბაძვა. ძროხის ფეხს ჰგავს. უთხარი (თერაპევტის სახელი) იპოვოს ძროხა.

ძირითადი სტრატეგია

მეტი ისაუბრეთ: მეტი ისაუბრეთ: მოიფიქრეთ, რა სიტყვით გამოხატავთ იმას, რომ არ ხართ დარწმუნებული და აუხსენით მშობელს/აღმზრდელს, თუ როგორ უნდა გააკეთოთ ეს და რატომ არის ეს მნიშვნელოვანი. ფიქრი მენტალური მოქმედება-მდგომარეობის გამომხატველი ზმნაა და ეხმარება ბავშვს განავითაროს გონების თეორიის უნარები. გონების თეორიის უნარი მოიცავს იმის გაგებას, რომ თითოეულ ადამიანს შეუძლია ჰქონდეს საკუთარი აზრები და ზოგჯერ ეს აზრები შეიძლება განსხვავდებოდეს ჩვენი აზრებისგან. ოჰ მე არ ვარ დარწმუნებული... მე ვფიქრობ, რომ ეს არის ღორის კუდი.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

2. ცხოველის ნაწილების გამოცნობა















© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

2. ცხოველის ნაწილების გამოცნობა



© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. რას ჭამს ცხოველი?

რესურსები

- ცხოველები - ა3
- მაკრატელი

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე.
ამოჭერით ასაწყობი სურათი-თავსატეხის ნაწილები და დაყავით ორ ჯგუფად; ერთი ჯგუფი იქნება ცხოველები, მეორე- საკვები (ყურადღებით იყავით თევზებთან; ის საკვებია!).
მშობელი/აღმზრდელი იღებს ცხოველების ბარათების შეკვრას, ხოლო ბავშვს აძლევს საკვების ბარათებს.
ყველა მოთამაშე აწყობს ბარათებს ისე, რომ დაინახონ ყველა სურათები.
თერაპევტი ორივე შეკვრა ცალ-ცალკე აქვს დალაგებული და აწყობს ბარათებს.

ინსტრუქციები

თქვენ აპირებთ ცხოველის და მისი საკვების შესატყვისობის თამაშს.

1. თერაპევტი ირჩევს ცხოველს და ეუბნება მშობელს/აღმზრდელს, თუ რა უნდა იპოვნოს (წაახალისეთ ბავშვი მოსმენისთვის).
2. მშობელი/აღმზრდელი იმეორებს ცხოველის სახელს, პოულობს მას და შემდეგ სთხოვს ბავშვს იპოვოს იმ საკვების სურათი, რომელსაც ეს ცხოველი ჭამს.
3. ბავშვი ეძებს ამ ცხოველის საკვების სურათს, მასზე საუბრობს და აწყობს თავსატეხების ნაწილებს.
4. მიიტანეთ თავსატეხის ნაწილები კამერასთან, რათა დარწმუნდეთ, რომ ორივეს გაქვთ იგივე კომბინაცია.
5. შემდეგ ბავშვი ირჩევს საკვების სურათს, აღნიშნავს მას, რათა თერაპევტმა იპოვოს იგი და ითხოვს იმ ცხოველს, რომელიც ჭამს ამ საკვებს.
6. მშობელი/აღმზრდელი და თერაპევტი ეძებენ, პოულობენ და საუბრობენ იმ ცხოველზე, რომელიც ამ საკვებს ჭამს.
7. მონაცვლეობით აირჩიეთ, აღნიშნეთ და მოითხოვეთ ბარათები, სანამ ყველა ბარათი არ დამთავრდება.

ძირითადი სტრატეგია

მეტი ისაუბრეთ: ასწავლეთ მშობელს/აღმზრდელს, თუ როგორ ილაპარაკოთ უფრო მეტი ხმამაღლა ფიქრის მეშვეობით, რაც გულისხმობს ყველაფრის სიტყვებით აღწერას, მაგალითად რაც ხდება ამა თუ იმ დროს, ხმამაღლა ფიქრი იმაზე, თუ რა უნდა გააკეთონ და რა მოხდება შემდეგ. გავიგე, რომ (თერაპევტის სახელი) თქვა, "იპოვე კატა" ასე რომ, მე ვეძებ კატას. ჰმმ... კატა. კარგი, აქ არის კატა. მე ვიპოვე კატა. ახლა კი მოდი მოვძებნოთ რას ჭამს კატა. შეხედე შენს ბარათებს... საინტერესოა, ნეტავ რისი ჭამა უყვარს კატას? შეიძლება ბავშვმა არასწორად აიირჩეოს საკვების ბარათი. ასწავლეთ მშობლებს, თუ როგორ გამოიყენონ მოდელი "მეტი ისაუბრეთ", რათა უზრუნველყონ ენის მოდელები სწორი არჩევანის განხილვისთვის.
ოჰ, ეს არ არის კატის საკვები... ნახე, სურათი-თავსატეხი არ არის შესაფერისი. ისევ უნდა მოვძებნოთ რას ჭამს კატა.

ძირითადი სტრატეგიები

მეტი ისაუბრეთ: "მეტი ისაუბრე" სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია მეტი კომენტარის გაკეთება და ნაკლები კითხვების დასმა. კითხვები აყენებს ბავშვს ისეთ სიტუაციაში, რომელიც ჰგავს გამოცდას. საუბარი სწავლებაა. ასწავლეთ მშობელს/აღმზრდელს, თუ როგორ შეცვალონ კითხვები კომენტარებად. მოდი, ერთად მოვძებნოთ საკვები, რომელსაც ჭამს კატა. ვფიქრობ, რომ ვიცი რას ჭამს კატა. ზოგ კატას უყვარს თევზის ჭამა.

გამოიყენეთ ვარიანტები: კითხვების ზოგიერთი ტიპი სასარგებლოა. ვარიანტებიან კითხვაში, ენის მოდელირება აძლევს ბავშვს ენის სწრაფ მოდელს, რაც აადვილებს კოპირებას და ნაკლებად ჰგავს გამოცდას. შეცვალეთ კითხვა ბავშვის გამოხატული ენობრივი შესაძლებლობების შესაბამისად. თუ ბავშვი მხოლოდ ცალკეულ სიტყვებს ავითარებს, ასარჩევად გამოყავით ერთ სიტყვიანი ვარიანტი. როგორ ფიქრობ, კატა ჭამს თივას თუ თევზს? თუ ბავშვი ავითარებს სიტყვების შერწყმას,როგორ ფიქრობ, კატა ჭამს თივას თუ კატა ჭამს თევზს? ან თუ ბავშვი იწყებს გაძლიერებული გრამატიკული სტრუქტურის გამოყენებას, გაზარდეთ ვარიანტებიანი კითხვა. როგორ ფიქრობ, კატასუყვარს თივის ჭამა თუ კატას უყვარს თევზის ჭამა?

ძირითადი სტრატეგია

მეტი ისაუბრეთ: სიტყვების მარაგის განვითარების შესახებ კვლევებმა აჩვენა, რომ თუ ჩვენ დავეხმარებით ბავშვებს სიტყვებს შორის კავშირის გაგებაში, ისინი მათ უფრო კარგად დაიმახსოვრებენ. ასწავლეთ მშობლებს/აღმზრდელებს "მეტი უსაუბრე" მოდელის გამოყენება, რათა მიაწოდონ ბავშვს მეტი ინფორმაცია მისი სამყაროს შესახებ და აუხსნან, თუ როგორ უკავშირდება იგი სურათი-თავსატეხების ნაწილებს. გაიხსენეთ, სუპერმარკეტში კატის საჭმლის ქილაზე გამოსახულია თევზის სურათი.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

3. რას ჭამს ცხოველი?













© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

3. რას ჭამს ცხოველი?









© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. რა შეიძლება იმალებოდეს ჩემგან?

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე ან ჩამოტვირთეთ რესურსის ელექტრონული ვერსია თქვენს მოწყობილობაზე.
ამოჭერით გვერდები, ააწყეთ წიგნი და აკინძეთ გვერდები სტეპლერით.

ელექტრონული ვერსიის გამოყენების შემთხვევაში, თერაპევტს შეუძლია ჩამოტვირთოს წიგნი და გააზიაროს ეკრანი ან თვალი მიადევნოს საკუთარი მოწყობილობით, სანამ მშობელი ატარებს აქტივობას.

რესურსები

- ცხოველები ა4 (ამობეჭდილი ან პრეზენტაცია)
- მაკრატელი
- სტეპლერი

ინსტრუქციები

მშობელი/აღმზრდელი უხელმძღვანელებს აქტივობას ბავშვთან ერთად წიგნის დამოუკიდებლად წაკითხვით. თერაპევტი დააკვირდება და, საჭიროების შემთხვევაში, ასწავლის მშობლებს/აღმზრდელს ქვემოთ მოცემულ სტრატეგიებს.

1. მშობელი/აღმზრდელი ისაუბრებს გარეკანის სურათზე და იმაზე, თუ რას აკეთებს ბიჭი.
2. მშობელი/აღმზრდელი წაიკითხავს შეკითხვების პირველ გვერდს და გამოიცნობს რა ცხოველია.
3. მშობელი/აღმზრდელი ჰკითხავს თერაპევტს, თუ რას ფიქრობენ ამაზე, შემდეგ კი სთხოვს ბავშვს გამოიცნოს.
4. მშობელი/აღმზრდელი გადაშლის გვერდს და სურათის დამალვით წაიკითხავს ტექსტს ცხოველზე აქცენტირებით. ბავშვმა უნდა გაიმეოროს ცხოველის სახელი და შემდეგ შეხედოს სურათს.
5. მშობელი/აღმზრდელი დაუბრუნდება შეკითხვების გვერდს, რათა მეტი ისაუბრონ სურათზე და ვარაუდებზე.
6. მშობელი/აღმზრდელი გააგრძელებს ამ აქტივობის ხელმძღვანელობას წიგნის დასრულებამდე.

ძირითადი სტრატეგიები

მეტი ისაუბრეთ: ასწავლეთ მშობლებს/აღმზრდელებს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ მოდელი "მეტი ისაუბრეთ" და როგორ მიიპყრონ და მიიქციონ ბავშვების ყურადღება წიგნების კითხვის დროს. შეძახილებისა (შორისდებულების) და მენტალური მოქმედება-მდგომარეობის გამომხატველი ზმნების გამოყენებით, მათ შეუძლიათ დაანახონ ბავშვს, რამდენად დაინტერესებულნი და აღფრთოვანებულნი არიან ამ წიგნის კითხვით და იმის გარკვევით, თუ რა ცხოველები იმალებიან აქ. უჰ-ოჰ! საინტერესოა, რა იმალება ყუთში. ჰმმმ, ვფიქრობ, რომ ეს შეიძლება იყოს მაიმუნი. ოოო! იმედი მაქვს, რომ მაიმუნია. მომწონს მაიმუნები.

ყურადღებით მოუსმინე: "ყურადღებით მოსმენის" მეთოდის გზით ინფორმაციის მიწოდება ხელს უწყობს ტვინის აუდიტორული ნერვული სისტემის განვითარებას. ასწავლეთ დამწყები მსმენელის მშობლებს/აღმზრდელებს, რომ არ დაანახონ ბავშვს სურათი თითოეული გვერდის წაკითხვის დროს, რათა წაკითხვის შემდეგ გაუზიარონ ეს სურათი და კვლავ ისაუბრონ მასზე. ბავშვის მოსმენისა და მეტყველების უნარის განვითარების პროცესში, ფოტოების გაზიარებამდე, მშობლებმა/აღმზრდელებმა უნდა დაელოდოს ბავშვს გაიმეოროს მოსმენილი სიტყვები.

ძირითადი სტრატეგია

მეტი ისაუბრეთ: ასწავლეთ მშობლებს/აღმზრდელებს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ენის მოდელები, ისე რომ ოდნავ აღემატებოდეს მათი შვილის ენის სპონტანური გამოხატვის მიმდინარე დონეს. მათ შეუძლიათ ამის გაკეთება იმ სიტყვაზე ან სიტყვებზე გამახვილებით, რაც მათ სურთ, რომ მათმა შვილმა თქვას. მაგალითად, თუ ბავშვი მხოლოდ ცალკეულ სიტყვებს ავითარებს, შეიძლება ივარაუდოს ვფიქრობ, რომ ეს კატაა. თუ ბავშვი იწყებს სიტყვების შერწყმას, ვფიქრობ, რომ ქუდის ქვეშ კატაა. თუ ბავშვი უფრო გრძელ წინადადებებს იყენებს, ვფიქრობ, რომ ქუდის ქვეშ კატა იმალება. წაახალისეთ მშობელი/აღმზრდელი, რომ გთხოვოთ გამოცნობა, რათა შეძლოთ შექმნათ მსგავსი ენის სტრუქტურები. სხვადასხვა ცხოველის გამოცნობა დაეხმარება ბავშვს გააცნობიეროს, რომ სხვადასხვა ადამიანს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული აზრები. ორი ვარაუდის მოსმენის შემდეგ, შეგიძლიათ სთხოვოთ ბავშვს გამოიცნოს.

ძირითადი სტრატეგია

მეტი ისაუბრეთ: ურჩიეთ მშობლებს/აღმზრდელებს ისაუბრონ მოსალოდნელ და მოულოდნელ მომენტებზე მთელი წიგნის განმავლობაში. ძაღლი მორის უკან არც თუ ისე უჩვეულოა, ასე რომ კომენტარი შეიძლება იყოს, ოჰ, დიახ, ძაღლი მორის უკან მინახავს... მაგრამ თხა ნავში გასაკვირი იქნება! და ცხენი ხეზე, უბრალოდ სასაცილოა. ურჩიეთ მშობლებს/აღმზრდელებს ისაუბრონ იმაზე, თუ რატომ არის ეს სურათები სასაცილო ან მოულოდნელი, რათა დაეხმარონ ბავშვს უკენ შეიცნოს თავისი სამყარო, ასევე ამოიცნოს და ისიამოვნოს იუმორით.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

2. რა შეიძლება იმალებოდეს ჩემგან?

რა შეიძლება იმალებოდეს ჩემგან?

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020



რა იმალება ქუდის ქვეშ?

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020



ქუდის ქვეშ კატაა.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020



რა იმალება მორის უკან?

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020



მორის უკან
ძაღლია.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

რა იმალება ყუთში?

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

ყუთში მელაა.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

რა იმალება სახლის გვერდით?

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

სახლის გვერდით თაგვია.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020



რა იმალება ნავში?

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020



ნავში არის თხა.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020



რა იმალება ხის უკან?

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

ეს არ არის
ფუტკარი,



არც
რწყილი,

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020



და არც
ზღვის კუ.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020



ეს ცხენია,
რა თქმა უნდა!

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

MED-EL ოფისები მსოფლიოს მასშტაბით

ამერიკა

არგენტინა
medel@medel.com.ar

კანადა
officecanada@medel.com

კოლუმბია
office-colombia@medel.com

მექსიკა
office-mexico@medel.com

აშშ
implants@medelus.com

აზია - წყნარი ოკეანის რეგიონი

ავსტრალია
office@medel.com.au

ჩინეთი
office@medel.net.cn

ჰონგ კონგი
office@hk.medel.com

ინდოეთი
implants@medel.in

ინდონეზია
office@id.medel.com

იაპონია
office-japan@medel.com

მალაიზია
office@my.medel.com

ფილიპინები
office@ph.medel.com

სინგაპური
office@sg.medel.com

სამხრეთ კორეა
office@kr.medel.com

ტაილანდი
office@th.medel.com

ვიეტნამი
office@vn.medel.com

ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა

ავსტრია
office@at.medel.com

ბელგია
office@be.medel.com

ფინეთი
office@fi.medel.com

საფრანგეთი
office@fr.medel.com

გერმანია
office@medel.de

იტალია
ufficio.italia@medel.com

პორტუგალია
office@pt.medel.com

ესპანეთი
office@es.medel.com

სამხრეთ აფრიკა
customerserviceZA@medel.com

არაბეთის გაერთიანებული ემირატები
office@ae.medel.com

გაერთიანებული სამეფო
customerservices@medel.co.uk

M00106 1.0

MED-EL-ის სამედიცინო აღჭურვილობა
ფურსტენვეგ 77ა | 6020 ინსბრუკი, ავსტრია | office@medel.com

medel.com